ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25
2013 წლის 10 სექტემბერი

ქ. ზუგდიდი

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცდეს შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 მარტის №8 დადგენილებაში შეტანილ იქნეს (სსმ 15/03/2013 სარეგისტრაციო კოდი 010260020,35,105,016111) ცვლილება, კერძოდ:

დებულების დანართი №1-ის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,2. სამსახური შედგება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისგან:

ა) მიწისა და ქონების მართვის განყოფილება;

ბ) ტრანსპორტის რეგულირების განყოფილება;“.

მუხლი 2

დადგენილება გაეგზავნოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

მუხლი 3

დაევალოს საკრებულოს აპარატს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით დადგენილების რეგისტრაცია და გამოქვეყნება.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **გრიგოლ სხულუხია**
მოადგილე